



საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“

ა. ჭოიძე

# ფიზიკური კულტურა და სიცოცხლის გახსნარძლივება

3

სერია

VIII

თ ბ ი დ ი ს ი 0 · 1965

პ. ზოიძე,  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

# ვიზივარი კურაგა და სიცოცხლის გახსნაძღვება



გამოიცემლობა  
„საზოგადო სამართველო“  
• თბილისი  
1953

615.33  
615.825-+612.68  
№777

რედაქტორი პროფ. გ. ფიცხელაური

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ძოშენიძე  
მხატვარი გ. ავსაფანიშვილი  
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი  
ტექნიკაქტორი ე. აბდუშელიშვილი  
კორექტორი ე. ტრიბოლსკაია

სელმოწერილია დასაბეჭდად 22/V-65 წ. ქაღალდის ზომა  $60 \times 841/16$ ; ნაბეჭდი  
თაბახი 1,75. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 1,4.

ფასი 10 კაპ.

უ. 02568.

ტირაჟი 15.300.

შეკვ. № 745.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

---

საქ. ქვ. ცე-ის გამომცემლობა პ/უთმშენიშვილი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.

## ვიზიტორი პულტურისა და სპორტის განაჯანსაღებელი დაცულებება

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ აღზრდაზე დაუცხრომლად ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობაზე მიღებული პარტიის ახალი პროგრამა ამოცანად ისახავს უზრუნველყოს „ფიზიკურად მაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, დაწყებული სულ პატარაობიდან, და მათი ფიზიკური და სულიერი ძალების პარმონიული განვითარება“. ეს კი მოითხოვს „ყველა სახეობის მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ყოველი ღონისძიებით წახალისებას, მათ შორის სკოლებში, ფიზიკულტურულ მოძრაობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩაბმას“.

დასახული ამოცანის განსახორციელებლად, ცხოვრების პირობებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმის გაუმჯობესების მიზნით, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად დიდალ სახსრებს ხარჯავენ და ცხოვრებაში სისტემატურად ატარებენ უამრავ ისეთ ღონისძიებას, რომლებიც აუმჯობესებს ცხოვრების მატერიალურ და კულტურულ დონეს, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობას, ნერგავს შრომისა და ყოფა-ცხოვრების ჰიგიენას, ხელს უწყობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივ გავრცელებას, აღზრდის, შრომისა და დასვენების სწორ რეჟიმს და სხვ. ყოველივე ეს კი იწვევს ამჟამად და მომავალშიც გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გაფანსაღებასა და რიცხობრივ ზრდასთან ერთად აღამიანის შრომისუნარიანობისა და სიცოცხლის გახანგრძლივებას.

ამრიგად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და გაჯანსაღების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენს აღამიანის ფიზიკური აღზრდა. ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემა კომუნის-

ტური ოღზრდის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია, ეს იმიტომ, რომ  
ფიზიკური ოღზრდის ყველა საშუალებას დროული და რაციონალუ-  
რი გამოყენებით ჩვენ მივიღებთ აღამიანის ყოველმხრივ ჰარმონი-  
ულ ფიზიკურ განვითარებას, გარემო პირობებისადმი, კერძოდ  
სპორტის რომელიმე სახეობის მიხედვით შეჯიბრებაში მონაწილეო-  
ბისათვის საჭირო რთული პირობებისა და მაქსიმალური ფიზიკური  
დაძაბვისადმი თრგანიზმის შემგუებლობის უნარის გადიდებას, თრ-  
განიზმის ყველა ძირითად ფსიქიკურ-ფიზიკური თვისების: ძალის,  
სისწრაფის, გამძლეობისა და სიმარჯვის სრულყოფა-განვითარებას;  
რაც, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შრო-  
მაში და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის საქმეში.

ფიზიკური ოღზრდის საბჭოთა სისტემაში ფიზიკური ვარჯიში  
წარმოადგენს აღამიანის ფიზიკური ოღზრდის ძირითად საშუალებას.  
ფიზიკური ვარჯიში, როგორც ფიზიკური ოღზრდის მთავარი საშუა-  
ლება, წარმოდგენილია ტანვარჯიშის, სპორტის, - თამაშობებისა და  
ტურიზმის სახით.

ფიზიკური ოღზრდის ზოგადი გამაჯანსაღებელი  
დანიშნულება გამოიხატება აღამიანის სხვადასხვა ქსოვილებ-  
ზე, თრგანოებზე და ფიზიოლოგიურ (ნერვულ, გულ-სისხლძარღვ-  
თა, სასუნთქ, კუნთოვან, ანალიზატორულ, ნივთიერებათა ცვლის,  
ჰემოპოეზურ, შინაგანი სეკრეციის და სხვ.) სისტემებზე ფიზიკური  
კულტურის საშუალებათა დადებითი მოქმედებით. სახელდობრ,  
ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სისტემატური, დაგეგმილი,  
მეთოდურად სწორად აგებული მეცადინეობა (წვრთნა) ხანგრძლივი  
დროის განმავლობაში ახალგაზრდა თრგანიზმში, განსაკუთრებით  
კი ძალისან, ტანმოვარჯიშე, მოჭიდავე და მტყორცნელ სპორტსმე-  
ნებში იწვევს ძვლის ქსოვილის სისხლით მომარაგების გაძლიერებას.  
ამის შედეგად ლულოვანი ძვლების ფორმა იცვლება —  
ხდება დიაფიზიზების განვი ზომის გადიდება; ძვლის იმ ნაწილში,  
რომელიც სახსართან ახლოსაა, ძლიერდება ფიზიოლოგიური სკლე-  
როზი (შედეგად — ძვალი ხდება მაგარი და გამძლე ფიზიკური დატ-  
ვირთვისა და ტრავშის მიმართ); ძვლის სპონგიოზური ნივთიერება  
ხდება ტლანქ ზონრიანი; ადგილი აქვს ძვლისაზრდელისა და ქერქუ-  
ლი შრის გასქელებას; კუნთთა მიმაგრების ადგილთა — ქედების,  
ძვლოვანი მორჩების, ბორცვებისა და დეზების განვითარებას (აქტი-  
ურ ჰიპერტონიას); სრულყოფას განიცდის ტანის სწორად დაჭე-  
რის ჩვევა (ახოვნება); იზრდება ხერხემლისა და კიდურთა სახსრო-

ვანი აპარატის მოძრაობის სიფართე და მოქნილობა; უმჯობესდება ტერფის თაღის ფორმა (მოზარდთა შორის); ადგილი აქვს სახსროვან-იოგოვანი აპარატის გამაგრებას, განსაკუთრებით იმ კიდურების მიღამოებში, რომლებიც სპორტის სახეობის მიხედვით უფრო მეტად განაცდიან ფიზიკურ დატვირთვას. ამასთან წვრთნის გავლენით ძვალ-სახსროვანი აპარატის მხრივ განვითარებულ ცვლილებათა ხასიათი კავშირშია წვრთნის მეთოდიკასა და გამოყენებული ფიზიკური კულტურის საშუალებებთან, ხოლო ამ ცვლილებათა ინტენსივობა დაკავშირებულია ასაკთან, სპორტული მოღვაწეობის სტაჟთან, ფიზიკური დატვირთვის ხასიათთან (სპორტის სახეობასთან) და სოციალურ-ჰიგიენურ პირობებთან.

სპორტსმენის ძვალი მძიმეა, მდიდარია კალციუმის მარილებით.

ფიზიკური წვრთნა — კაპილარული ქსელის განვითარებისა და ლიმფის მიმოქცევის (კვების) გაძლიერების შედეგად — იწვევს კუნთების ფორმისა და ფუნქციის სრულყოფას. სახელდობრ, მატულობს (პიპერტროფიას განიცდის) კუნთური მასა და კუნთების ძალა. კარგი ფიზიკური განვითარების მქონე გაწვრთნილ სპორტსმენთა შორის ჩონჩხის კუნთების მასა სხეულის წონის დაახლოებით 50%-ს, არასპორტსმენებში კი 35 — 40%-ს შეადგენს.

სპორტსმენის გაწვრთნილობის ზრდასთან ერთად დადებითი მიმართულებით იცვლება აგრეთვე კუნთებში მიმდინარე უანგვა-ალდეგენითი პროცესები იმგვარად, რომ კუნთური მუშაობისას მონაწილე რთული ფიზიკურ-ქიმიური სისტემა აღვილად იშლება და მუშაობის დასრულების შემდეგ სრულად აღდგება. მცირდება მუშაობის დროს ენერგიის ხარჯის მოცულობა. გავარჩიშების გავლენით იზრდება კუნთური ქსოვილის შეკუმშვის სისწრაფე, გამძლეობა და მოქმედებაში ზუსტი მოძრაობის უნარი, მცირდება მოტორული რეაქციის ფარული პერიოდი, მატულობს ტონუსი.

აღნიშნული ცვლილებები ვითარდება ყველა კუნთები, მაგრამ უფრო მეტად იმ კუნთთა ჭიგუფში, რომლებიც უფრო აქტიურად მონაწილეობს ამა თუ იმ ვარჯიშის შესრულების აქტში და, ამრიგად, ყველაზე მეტად განიცდის ფიზიკურ დატვირთვას. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი კავშირშია სპორტის სახეობისა და სპორტსმენის გაწვრთნილობის ხარისხთან.

მას შემდეგ, რაც ხანგრძლივი წვრთნის გავლენით ნერვ-კუნთო-

ვანი აპარატის მხრივ განვითარებული ფუნქციური და ანატომიური ცვლილებები გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, სპორტში შემდგომი დახელოვნება ორგანიზმში შედარებით მცირე ცვლილებებს იწვევს.

ნერვ-კუნთოვანი სისტემის გავარჯიშება რეფლექსურად იწვევს ნერვული სისტემის საშუალებით მასთან კავშირში მყოფ სხვადასხვა ფიზიოლოგიურ სისტემათა ფუნქციის შეცვლა-გარდაქმნას დადებითი მიმართულებით. სახელდობრ, სპორტული წვრთნის გავლენით მატულობს სპორტსმენის მს ედველობის ველის ფართობი (იზრდება როგორც პერიფერიული, ისე ცენტრალური მხედველობა), უმჯობესდება თვალის აპარატის კუნთური ბალანსი, სიღრმითი მხედველობა, ოპტიკური აღქმის სისტრაფე; იზრდება მხედველობის ანალიზატორის იგზნებადობისა და ძვრადობის უნარი.

ფიზიკური წვრთნის გავლენით სრულყოფილი ხდება კუნთებისა და სახსრების პროპრიოცეპტული მგრძნობელობა, სტატიკური წონასწორობა და ლოკომოტორული კოორდინაცია; იზრდება წონასწორობის (ვესტიბულური) აპარატის მდგრადობა; გაიშვიათებას განიცდის მაჭისცემა; კლებულობს არტერიული სისხლის მაქსიმალური წნევის დონე და სისხლის წუთმოცულობა; იზრდება გულის სისტოლური მოცულობა (სისხლის მიმოქცევის წრეში ერთჯერადად გადასროლილ სისხლის რაოდენობა); მატულობს გულის კუნთების მასა (გულის საზღვრები), წონა და მისი შეკუმშვის ძალა; იზრდება კუნთებში კაპილართა და მიოგლობინის რაოდენობა.

ელექტროკარდიოგრამაზე წვრთნის გავლენით R კბილის ვოლტაჟი ზომიერად მატულობს, სისტოლური მაჩვენებელი იჩენს შემცირების ტენდენციას; აგზნების გატარების სისტრაფე მცირდება, დიასტოლა ხანგრძლივდება, გული უფრო უკონომიურად და ეფექტურად მუშაობს.

სპორტული წვრთნის გავლენით არტერიულ სისხლძარღვთა ტონუსი და ელასტიკურობის თვისებები უმჯობესდება, მატულობს პრეკაპილარული ქსელის გამტარობის უნარი, მცირდება კაპილართა კედლის გამავლობა; იზრდება კანის ჰიდროფილობის უნარი, გულმკერდის ექსკურსია (მოძრაობის ამპლიტუდა), ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, ფილტვების მაქსიმალური ვენტილაცია, სუნთქვის შეკავების უნარი, სუნთქვაში მონაწილე ანატომიურ წარმონაქმნთა ძალა, სუნთქვის სიღრმე, დიაფრაგმის ექსკურსია; შემცირებას განიცდის სუნთქვის სიხშირე და წუთმოცულობა (ერთი წუთის

განმავლობაში ფილტვებში გატარებული ჰაერის რაოდენობა); მატულობს ძირითადი ცვლა, ჟანგბაღის შთანთქმისა და მოხმარების უნარი; საწყისში კლებულობს, ხოლო შემდეგ სტაბილური ხდება სპორტსმენის წონა; პერიფერიულ სისხლში იზრდება ჰემოგლობინის, ერითროციტების, ლიმფოციტების, ეოზინოფილების, ჟანგვა-ალდგენითი პროცესების რეგულაციაში მონაწილე ფერმენტის — ნახშირმუავა ანჰიდრაზის, K და გლუკოზის რაოდენობა, ლეიკოციტების ფაგოციტური უნარი; მცირდება რძისმუავას და ქოლესტერინის რაოდენობა; Ph—სტაბილურია. ნერვული სისტემა ხდება უფრო გამძლე ორგანიზმის შიგნითა არეს შემადგენლობის დროებითი მოშლის—სასხლის, ტემპერატურული რეაქციის, შაქრის რაოდენობის შეცვლის ანდა სხვა ცვლილებების მიმართ; ადგილდება პირობითი რეფლექსების წარმოქმნა; სრულყოფას განიცდის სტარტის წინა რეაქცია; იზრდება ძირითად ნერვულ პროცესთა ძალა, წონასწორობა და ძვრადობის უნარი; მნიშვნელოვნად მატულობს სპორტსმენის უმაღლესი ნერვული მოქმედების პოტენციური შესაძლებლობა; იცვლება სპორტსმენის ჭრევა—ხდება ლისციპლინიანი, თავმდაბალი, დინჭი, მტჭიცე ნებისყოფის, ამტანი, გამბედავი, ფიზიკურად ძლიერი; სრულყოფას განიცდის სპორტსმენის ფსიქიკურ-ფიზიკური თვისებები — სისწრაფე, სიმკვირცხლე, ძალა, გამძლეობა, ლოკომოტორული კოორდინაცია და სხვ.

ამრიგად, სპორტული წვრთნა მოქმედებს ადამიანის ყველა სფეროზე — იწვევს მათ ჰარმონიულ განვითარებას.

სპორტული წვრთნის გავლენით — მოსამზადებელი პერიოდის ბოლოს სპორტსმენი აღწევს მაქსიმალური შრომის უნარს არჩეული სახეობის სპორტში და იუმჯობესებს თავის წინანდელ სპორტულ-ტექნიკურ მიღწევებს, ე. ი. ამ პერიოდის ბოლოს სპორტსმენი იმყოფება მაქსიმალურად გავარჯიშების, ანუ ე. წ. „სპორტული ფორმის“ მდგომარეობაში.

სპორტული ფორმა სპორტსმენის მომზადების ისეთი დონეა, როდესაც ის ფუნქციურად სრულყოფილია, მოტორულ ჩვევებს (სპორტულ-ტექნიკურ ილეთებს) დაუფლებულია, ე. ი. მომზადებულია როგორც ზოგადად, ისე სპეციალურად.

გავარჯიშების, ე. წ. სპორტული ფორმის მიღწევის დროს, მოძრაობითი ჩვევების სრულყოფასთან ერთად, ცენტრალურ ნერვულ სისტემასა, სამოძრაო აპარატსა, ვეგეტატიურ ნერვულ სისტემასა, ანალიზატორებსა (ექსტერო-ინტერო და პროპრიორეცეპტორებსა)

და შინაგან ორგანოებს შორის ურთიერთობა ზედმიწევნით შეთანხმებული (კოორდინირებული) ხდება. ამის შედეგად ფართოვდება სპორტსმენის ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობა, წარმოებს სხვადასხვა ორგანოთა და სისტემათა მოქმედების კორელაცია კუნთური მუშაობის ხასიათთან (მუშაობის ტემპთან, რიტმთან, ამპლიტუდასთან, ფორმასთან, სტრუქტურასთან) და ხანგრძლიობასთან.

ფიზიკური კულტურის საშუალებებს (ფიზიკურ ვარჯიშს, ბუნების ფაქტორებს, ყოფა-ცხოვრებისა და შრომის რაციონალურ რეჟიმს) და სპორტს რომ ექნეს გამაჭამსალებელი (ჰიგიენური) დანიშნულება და რომ მან ზიანი არ მიაყენოს ადამიანის ორგანიზმს, საჭიროა ფიზიკური დატვირთვა იყოს ნორმირებული, ე. ი. ფიზიკური წვრთნის დროს ფიზიკური დატვირთვის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზმის ფუნქციურ შესაძლებლობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, სპორტში მომეცადინე პიროვნებისადმი მიღვომა უნდა იყოს ინდივიდუალური—ანგარიში გაეწიოს მისი უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპოლოგიურ მხარეს, ფიზიკურ განვითარებასა და ფიზიკურ მომზადებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასაკს, სქესს, ცხოვრების (შრომისა და ყოფის) პირობებსა და სხვა ფაქტორებს. ამავე მიზნით საჭიროა გამოყენებულ იქნეს სპორტული წვრთნის მოწინავე (ფორმითა და შინაარსით სრულყოფილი) მეთოდი და მეცადინეობის ეფექტურობაზე სისტემატური საექიმო-პედაგოგიური კონტროლი.

სპორტული წვრთნის გავლენით ორგანიზმში განვითარებული ზემოღასახელებული დადებითი ხასიათის ცვლილებები (სათანადო რეჟიმის, მტკიცედ დაცვისა და ტრენირების უწყვეტლობის პირობებში)—გაზრდილი შრომისუნარიანობითა და სრულყოფილი ჯანმრთელობით ადამიანმა შეიძლება შეინარჩუნოს მრავალი ათეული წლის განმავლობაში. ამიტომ ერთხელ დაწყებული ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობა შეიძლება შევამციროთ ასაკის, შრომითი შოღვაწეობისა და ცხოვრების პირობების შეცვლის შესაბამისად, მაგრამ იგი არ უნდა იქნეს შეწყვეტილი.

ფიზიკური კულტურა და დღეგრძელობა. სიკვდილი გარდუვალია (ფ. ენგელსი), სხვანაირად რომ ვთქვათ, მოხუცება და ინდივიდის სიკვდილი — ეს ყოველი ცოცხალი სისტემის თვისებაა. რაღაც ცოცხალი ორგანიზმის სიკვდილი გარდუვალია, ამიტომ კაცობრიობის განკარგულებაში მყოფ შესაძლებლობათა გამოყენების დანიშნულებას წარმოადგენს სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ზრუნვა.

ვარჩევთ ფიზიოლოგიურ (ბუნებრივ) და პათოლოგიურ (ნაადრევ) დაბერებას.

ა) ფიზიოლოგიური დაბერების დროს ორგანიზმის ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციები (უჯრედთა ბიოქიმიური და ბიოფიზიკური რეაქციების ინტენსივობა) თანდათანობით, კანონზომიერად და ჰარმონიულად ქვეთდება ისეთნაირად, რომ ამ დროს შერჩენილი აღაპტაციური (შეგუებითი) და კომპენსატორული შესაძლებლობანი უზრუნველყოფენ ახალ (ასაკის შესაბამის) დონეზე ორგანიზმის ფიზიოლოგიურ წონასწორობას გარემოსთან.

ბუნებრივი მოხუცებულობის პირობებში, რომელიც გვიან (65 წლისა და მეტი ხნის) ასაკში იწყება, ფუნქციური და მორფოლოგიური ხასიათის ცვლილებები და ამის შესაბამისად ორგანიზმში განვითარებული სასიცოცხლო პროცესების თანაბარზომიერი შესუტება საბოლოოდ უშიშარ და აგონიის გარეშე სიკვდილს იწვევს.

ბუნებრივ სიკვდილს წინ უძღვის მოხუცებულობის პროცესი. ამასთან სხვადასხვა პირის მოხუცებულობა სხვადასხვა ასაკში იწყება, ეს იმიტომ, რომ სიცოცხლის ხანგრძლიობა მჭიდრო კავშირშია და დამოკიდებულია პიროვნების მემკვიდრეობით ფაქტორებზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სოციალურ პირობებზე.

ბ) ნაადრევი დაბერება ორგანიზმზე ენდო-და ეგზოგენური წარმოშობის პათოლოგიური ზემოქმედების შედეგია. იგი ხასიათდება სასიცოცხლო პროცესების დისპარმონიით, რაც პიროვნებას არ აძლევს ფიზიოლოგიური დაბერების (ხანგრძლივი სიცოცხლის) მიღწევის საშუალებას და ნაადრევ სიკვდილს იწვევს.

ნაადრევად (50—60 წლის ასაკში) დაბერების დროს პიროვნება, გარეგნული შესახედაობისა და კლინიკური გამოკვლევების შედეგად მიღებულ მონაცემთა მიხედვით, ნორმალურ ასაკთან შედარებით მრავალი (10—15 და მეტი) წლით უფრო დაბერებულად გამოიყურება.

აღამიანის ნაადრევი მოხუცებულობა, რომელიც ორგანიზმი განუწყვეტლივ მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების შედეგია, ადრე იწყება და მიმდინარეობს არათანაბარზომიერად მის სხვადასხვა ფიზიოლოგიურ სისტემებში, ორგანოებსა და ქსოვილებში.

ნაადრევი დაბერების ხელშემწყობა ფაქტორებს წარმოადგენს უმოქმედობა ანდა კუნთების არასაკმაო მოქმედება (უპირატესად მჯდომარე ცხოვრება); მრავალი წლის განმავლობაში წარმოებული სისტემატური ხასიათის დიდი დაძაბულობის მოქან-

ცველი გონიერივი და ფიზიკური შრომა (გადაღლა); ცენტრალური ნერვული სისტემის ხანგრძლივი ტრავმატიზაცია (ფსიქიკური დაძაბვა); თამბაქოს გადაჭარბებული წევა, ალკოჰოლის უზომოდ ხმარება, კვების რეჟიმის სისტემატური დარღვევა—ალიმენტური დისტროფია (ცხოველური ცხიმის ჭარბი გამოყენება საკვებში—ხანგრძლივი ქოლესტერინემია და ამის შედეგად—პიროვნების გასუქება ან, პირიქით—ქრონიკული შიმშილი), თირკმლების ანდა ღვიძლის ქრონიკული დაავადებანი; შინაგანი სეკრეციის მოშლილობანი, ალერგიული დაავადებანი, მაღალი სისხლის წნევა, ინფექციური სნეულებანი; ქრონიკული მოშხამვა ნაწლავში წარმოშობილი ლპობითი პროცესების პროდუქტებით (ი. მეჩნიკოვი), ტყვიით, სინდიკით ანდა სხვა საწარმოო შხამებით; ტვინის ტრავმული დაავადებანი (შერყევა, დაუეუჯილობა, ჭრილობა) და სხვა მავნე ფაქტორები.

როდესაც ორგანიზმზე, მის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებს ჭარბად ძლიერი ჩვეულებრივი ან არაჩვეულებრივი გამლიზიანებელი, ან კიდევ როდესაც იცვლება ორგანიზმის რეაქტივობა გამლიზიანებელ ფაქტორებზე, მოიშლება ნორმალური ურთიერთდამოკიდებულება თავის ტვინის ქერქსა და ქერქქვეშა ანატომიურ წარმონაქმნებს შორის. ეს მდგომარეობა, თავის მხრივ, სასიცოცხლო პროცესების მარეგულირებელი მექანიზმების მოშლილობის შედეგად გამოიწვევს უჯრედების ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ქსოვილთა შიოქიმიური და მორფოლოგიური აღდგენა-განახლების დარღვევას, ორგანიზმის თავდაცვის უნარის (რეაქტივობის) დაქვეითებას, დისტროფიული პროცესების განვითარებას სხვადასხვა ქსოვილებსა და ორგანოებში; დაქვეითებას განიცდის იმუნიტეტი; იშლება შინაგან ორგანოთა ნორმალური მოქმედება; პიროვნება ნააღრევად ბერდება; ახალი ურთიერთობა (ახალი სახის შეგუება) მყარდება ორგანიზმსა და გარემოს მოვლენებს შორის.

საწყისში არსებული ფუნქციური მოშლილობანი უფრო გვიან ანატომიურ ცვლილებებად გადაიზრდება. კერძოდ, სტეროიდულ ნივთიერებათა ცვლის მოშლის გამო სისხლძარღვთა შიგნითა კედელში ლაგდება ლიპოიდები; რასაც, როგორც რეაქცია, თანამგზარობს მაკროფაგების მიერ ლიპოიდების ალიგება და ფიბრობლასტებისა და კოლაგენური ბოჭკოების განვითარება; თანამდებობით ისპობა სისხლის ძარღვის ელასტიკური და კუნთური ბოჭკოები და იგი შეიცვლება შემაერთებელი ქსოვილით, სისხლის ძარღვის შიგნითა კედელი (intima) სქელდება, შიგ ჩალაგდება კიროვანი მა-

რილები, გედელი მკვრივდება, მოქნილობის. უნარს კარგავს—ვთარდება ათე როს კლეროზი.

ათეროსკლეროზის განვითარებას თან მოსდევს სისხლის ძარღვის სანათურის შევიწროება ან სრული დახშვა (ობლიტერაცია), ამათუ იმ ორგანოში ან ქსოვილში კეროვანი ნეკროზების განვითარება.

თუ ზემოაღნიშნულ ათეროსკლეროზულ პროცესს ადგილი აქვს თავის ტვინის ქერქში, თანდათანობით მოშლას განიცდის ტვინის პარენქიმული (უჯრედული) ელემენტების სისხლით მომარაგება, იცვლება ტროფიკა, ქვეითლება ფერმენტთა აქტიურობა, გროვდება „მოხუცებულობის ფერმენტი“, მცირდება ნერვულ უჯრედთა აღდგენა-განახლების (რეგენერაციის) უნარი, მცირდება უჯრედთა რაოდენობა. ამას შედეგად თავის ტვინის ქერქის სხვადასხვა ფუნქცია მეტად თუ ნაკლებად დაქვეითებას განიცდის (ქვეითლება მისი რეფლექსური მოქმედება); ირლვევა ძირითადი ნერვული (აგზნებისა და შეკავების) პროცესების მიმდინარეობა და მათს შორის თანაფარდობა-შეკავების პროცესის შესუსტებით; აგზნება-შეკავების პროცესები ხდება ინერტული, ძვრადობა მცირდება; იშლება ნეიროდინამიკურ პროცესთა ურთიერთმოქმედება და ურთიერთინდუქცია; მოშლას განიცდის ქერქის სხვადასხვა ნაწილების, ქერქებისა და მოტორული აპარატისა და ვეგეტატიურ-ვისცერულ ორგანოთა კორელაციური მოქმედება; ქვეითლება მავნე აგნების მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი; წარმოებს გარემო ფაქტორების მიმართ ორგანიზმის რეაქტივობის (ცხოველმყოფელობის მომატება-დაქვეითების, ნივთიერებათა ცვლის მიმართულებისა და სისწრაფის შეცვლის) უნარის დაქვეითება, გარემოს სხვადასხვა ფაქტორით ზემოქმედებაზე ორგანიზმის საპასუხო დაცვითი რეაქციების უზრუნველყოფი რეფლექსების თანდათანობითი შესუსტება, იმუნო-ბიოლოგიური და ალერგიული რეაქციების დაკნინება.

მოხუცთა შორის ახალი პირობითი რეფლექსების გამომუშავება გაძნელებულია, გამომუშავებული რეფლექსი კი არამტკიცეა; ძველი რეფლექსები კარგად ინახება; მოშლილია დიფერენცირების უნარი. ნერვულ პროცესთა ირადიაცია და პირობითი რეფლექსების ფარული პერიოდი გახანგრძლივებულია. ყველაზე აღრე ქრება ხელოვნური პირობითი რეფლექსები, შემდეგ—ბუნებრივი.

სხვა ავტორების (ვ. მაილისის, ვ. გილიაროვსკის, ს. პაკოს, ა. ვეგერისა და ა. იანოვსკის, ა. ზურაბაშვილის, კ. პარხონის, პ. კასტე-

ნის, მოროზოვას, ნ. ბოგოლეპოვის, ი. არბატისკიას, დ. მინცის, დ. შელეხოვის, ბ. ზიმოვსკის, ვ. ბანშჩიკოვისა) და ჩვენი მონაცემების მიხედვით, ამ დროს კლინიკურ ად შეიძლება იყოს გამოხატული: დასაწყისში—სისტემატური თავის ტკივილი ან სიმძიმის გრძნობა (უფრო ხშირად ფიზიკური დაღლის ან დაძაბული გონებრივი მუშაობის შემდეგ), თავში ან ყურებში შუილი, თავბრუ (ხშირად თვალებში დაბნელებით) წინ დახრის ან წოლის მდგომარეობიდან ვერტიკალურ მდებარეობაში გადასვლისას, აღვილი დაღლილობა გონებრივი ან ფიზიკური მუშაობის დროს, საერთო სისუსტე, ხელსა და ფეხში წარმავალი დაბუქების გრძნობა, მცივანობა, ჭარბი იღვილაგზებადობა, ბუნებგანწყობის ხშირი ცვალებადობა (განაწყენება, დეპრესია, არამოტივირებული შეშფოთება), აპათია, ეგოიზმი, გაძლიერებული შთაგონებულობა, გულმავიწყობა (დასაწყისში—სახელისა და თარიღის მიმართ, მიმღინარე შთაბეჭდილებათა მიმართ, უფრო გვიან იგი მოიცავს მოგონებათა უფრო ფართო წრეს; წარსულზე მეხსიერება შენახულია), ინტელექტუალური შრომის უნარის თანდათანობითი დაქვეითება (დასაწყისში—რაოდენობრივად, უფრო მოგვიანებით—თვისებრივად), ინტერესის შევიწროება, ჭამის მაღის დაქვეითება, საპასუხო რეაქციის დროის გახანგრძლივება, ძილის დარღვევა. ასეთ პიროვნებას გაძნელებული აქვს ერთი ამოცანიდან მეორეზე გადართვის სიჩქარე, სუსტდება შემოქმედებითი ინიციატივა, გაძნელებულია ყურადღების კონცენტრაცია დეტალებზე, გარემოს ახალ პირობებთან შემგუებლობა, დიფერენციაცია არსებითისა მეორეხარისხოვანისაგან.

უფრო მოგვიანებით თავის ტვინის ათეროსკლეროზის პირველი სტადიის დროს არსებული პათომორფოლოგიური და კლინიკური მოვლენები თანდათან მატულობს, ინტენსიური ხდება და ნერვული სისტემის ზემოდასახელებული ფუნქციური მოშლილობის აღრეულ ნიშნებს ზედ დაერთვის თავის ტვინის დიფუზური ანდა მიკროკეროვანი ორგანული ცვლილებების მოვლენები; ვითარდება ფსიქიკის ასტენიზაცია, ქვეითდება განზრახული ამოცანის შესრულების სიზუსტე, მკვეთრად იშლება ყურადღების კონცენტრირების უნარი, უძნელდება ცხოვრების ახალ პირობებთან, ახალ სიტუაციასთან შეგუება, ახალი ცოდნის შეძენა, მუშაობის ახალი მეთოდების დაუფლება; ზოგჯერ ავიწყდება საჭირო სიტყვები ანდა საგნის სახელწოდება; აზროვნება ხდება შენელებული (ბრადიფსიქია), ინტელექტუალური მოქმედება—ლარიბი; არ შეუძლია დასახუ-

ლი ამოცანის სწრაფი გაღაწყვეტა; იშლება დღის განაწესის, საწარ-  
მოო შრომისა და ადამიანთა შორის დამკიდებულების ჩვეული  
სტერეოტიპი—ხდება ბრაზიანი (აფექტური), ოჯახში და სამსახურში  
ძნელად ასატანი; უვიწროვდება აღქმის მოცულობა; გამოსახული აქვს  
ნაძალადევი შიში, ასტენო-დეპრესიული რეაქციები; ქვეითდება ნე-  
ბისმიერ მოძრაობათა ძალა, სისწრაფე და სიზუსტე, ამიტომ პიროვ-  
ნებას უჭირს ან არ შეუძლია ნატიფი მოძრაობების, დიდი სისწრა-  
ფის ანუ დიდი დაძაბულობის სამუშაოს შესრულება (კონვეიერზე  
მუშაობა, სტენოგრამის ჩაწერა, საათის მექანიზმის შეკეთება, ქი-  
რურგობა, ზეინკლობა, გრავიურაზე მუშაობა და სხვ.), ადამიანთა  
დიდი მასის ხელმძღვანელობა; იცვლება მიმიჯა (ხდება ლარიბი), წე-  
რა (ადგილი აქვს პარაგრაფიას) და მეტყველება (ბრადილალია ან,  
პირიქით, მოხუცებულთა ყბედობა); ახასიათებს ადვილცრემლიანო-  
ბა (სუსტიულოვნება), უჭირს დიდხანს დგომა (ჩქარა იღლება); წო-  
ნაში კლებულობს ან, პირიქით, სუქდება (ცხიმი ლაგდება უმთავრე-  
სად მუცლის არეში); კლებულობს აქტიურობა, ინიციატივა; ქვეით-  
დება პიროვნების დონე—ხდება მეტისმეტად ეგოცენტრული, კარ-  
გავს თავისი შესაძლებლობისადმი რწმენას; დასჩემდება ეჭვიანობა,  
უვიწროვდება ცხოვრების ინტერესები; უქვეითდება მუშაობის  
ტემპი და ხარისხი (სიზუსტე), მუშაობაში უშვებს შეცდომებს და  
სხვ.

ამ პერიოდში ფსიქოპათოლოგიური ცვლილებებიდან შეიძლება  
განვითარდეს დეპრესიულ-პარანოიდული მდგომარეობანი, დელი-  
რიოზული, ჰალუცინაციურ-ბოდვითი შეტევები, ამნეზიური სინდ-  
რომი და სხვ.

ცენტრალური ნერვული სისტემა წარმოადგენს ადამიანის ორ-  
განიზმის ყველა ქსოვილის, ორგანოსა და სისტემის მოქმედების,  
ყველა სასიცოცხლო პროცესის მარეგულირებელ უმაღლეს ორგა-  
ნოს; ამიტომ ნეიროდინამიკური პროცესების შეცვლასთან (ფსიქი-  
კური და ნერვული მოქმედების მოშლასთან) ერთად იცვლება აგ-  
რეთვე თავის ტვინის ქერქთან დაკავშირებული სხვადასხვა ფიზიო-  
ლოგიური სისტემებისა და ქსოვილების ნორმალური ფუნქცია, სუს-  
ტდება მათზე ტვინის ქერქის ტროფიკული გავლენის უნარი.

ამის შედეგად სომატური და ვეგეტატური მოშლილობებიდან  
შეიძლება გამოხატულ იქნეს ნებისმიერ მოძრაობათა სილარიბე და  
სინელე, ხელის თითების ნატიფ მოძრაობათა სიზუსტისა და სის-  
ხარტის მოშლა, ხორთუმისა და ხელისგულ-ნიკაპის რეფლექსების

გაძლიერება, სახის კუნთთა ინერვაციის ასიმეტრია, ზოგჯერ კრუნ-  
ჩხვითი გულყრები, მყესთა და ძვალთა რეფლექსების ასიმეტრია,  
როსოლიმოს პათოლოგიური რეფლექსი, ტანისა და კიდურთა კუნ-  
თების მოცულობაში შემცირება (ატროფია), გუგის ფოტორეაქციის  
მოღუნება, კანის ქავილი, სქესობრივი მოთხოვნილების (ლტოლ-  
ვის) და სპერმატოგენეზის სრული დაკარგვა ან თვალსაჩინო დაქვე-  
ითება, წინ გაწვდილი ხელის თითების ტრემორი, სტატიკური არამ-  
დგრადობა, სიარულის ტემპისა და ამპლიტუდის შემცირება (დაღის  
ნელი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით—Demarche a petits pas), ჭამის  
მაღის დაქვეითება, კანისა და თმის დისტროფიული ცულილე-  
ბები—ნაადრევი გაჭალარავება, თავზე თმის გაცვენა, კანის ატრო-  
ფია, დანაოჭება, ტურგორის დაქვეითება, ხელისა და წელ-ზურგის  
ძალის თვალსაჩინო დაქვეითება, მოტორული ქრონაქსიის გახანგრ-  
ძლივება, ფსევდობულბარული პარეზი, თირკმელზედა ჭირკვლის  
ჰორმონალური ფუნქციის დაქვეითება, სათესლე აპარატის ატრო-  
ფია, გარეგანი შესახედაობის გამოცვლა, სისხლის წნევის დონის მო-  
მატება ან, პირიქით, დაქვეითება, საფეთქლის არტერიის დაკლაკნი-  
ლობა და სიმკვრივე, საფეთქელ-მხრის არტერიის წნევის ასიმეტრია,  
მხრისა და საფეთქლის არტერიათა წნევის ურთიერთშეფარდებაში—  
საფეთქლის არტერიის წნევის გაღიდება, ოსცილოგრაფიული მრუ-  
ლის გაბრტყელება და მისი ინდექსის დაქვეითება, გუგების რეაქციის  
მოღუნება ახლო მზერაზე, მიოზი, თავის ტვინის სისხლის მიმოქ-  
ცევის დინამიკური მოშლილობანი (თავის ტვინის ფუნქციათა შექ-  
ცევადი მოშლილობის მოვლენებით), აკროციანოზი, კანის ტემპერა-  
ტურის დაბალი დონე, მცივანობა; ვიბრაციული მგრძნობელობის  
დაქვეითება, თვალ-გულის რეფლექსის ინვერზია, ტაქიკარდია, დერ-  
მოგრაფიზმის გახანგრძლივება, მხედველობისა და სმენის პროგრე-  
სული დაქვეითება, კიდურთა სახსრებისა და წელის ტკივილი, კი-  
ფოზი, კუნთთა ტონუსის მსუბუქი მომატება ან, პირიქით,—დაქვეი-  
თება, ხანმოკლე გულისწასვლები, პიპერტონიული კრიზები, ვეს-  
ტიბულური მოშლილობანი. ბარანის სავარძელზე ტრიალის შეწყვე-  
ტისას ვითარდება სომატური და ლაბირინთულ-ვეგეტატიული რეფ-  
ლექსების მცვეთრი რეაქცია. თვალის ფსკერზე აღინიშნება ბადურა  
გარსის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზი (სისხლძარღვთა სანათურის  
შევიწროება).

ანგიოგრაფიულად გამოხატულია თავის ტვინის სისხლძარღვთა  
ათეროსკლეროზული ფირფიტებით „გარემოცვა“, წვრილ სისხლ-

ძარღვთა კალიბრის არათანაბრობა, მათი დაგრძელება და მარყუჯი-  
ანობა, სისხლის მდინარობის სისწრაფის შენელება.

ელექტროენცაფალოგრაფიულად (ა. ა. მინჯაძის გამოკვლევით)  
ადგილი აქვს თავის ტვინის მარცხენა ჰემისფეროს (უმთავრესად  
შუბლ-თხემის) ქერქის ელექტრული აქტივობის დაქვეითებას, ქერ-  
ქის ფუნქციური ლაბილობისა და შეკავების პროცესების შესუსტე-  
ბას, ქერქებში წარმონაქმნთა შეცვლას. სახელდობრ, ა რიტმის  
შენელებას, ვოლტაჟის დაქვეითებას და ე. წ. ეტატალღების აღმო-  
ცენებას კეფა-თხემის წილებში.

არითმეტიკული ამოცანების გადაწყვეტისას ვლებულობთ —  
ა რიტმის გაქრობას; სინათლითა და ბგერით გალიზიანებებზე ქერქი  
აჩენს აქტიურობის მკვეთრ დაქვეითებას ანდა სრულ არეაქტივობას;  
ხშირია პათოლოგიური პოტენციალების (ნემსისებრი რხევების) არ-  
სებობა საფეთქლის წილებში.

სხვა ავტორების მიხედვით, მოხუცებში ამ დროს ელექტრო-  
ენცეფალოგრამაზე ჭარბობს დაბალი ამპლიტუდის გასაზავებული  
მრუდი.

შარდში გამოიყოფა დაუუანგავი პროდუქტების გადიდებუ-  
ლი რაოდენობა — მომატებულია  $V-O_2$  და სხვ.

მოხუცობის პროცესში, უმაღლესი ნერვული მოქმედების შეც-  
ვლის პარალელურად ან უფრო აღრე — ასაკის მატებასთან ერთად  
(განსაკუთრებით ნააღრევი მოხუცებულობის დროს), ვითარდება  
ჭერ ფუნქციური, შემდეგ კი ანატომიური სახის პათოლოგიური  
ცვლილებები სხვადასხვა ორგანოების, ქსოვილებისა და სისტემების  
(გულის, თირკმლების, ფილტვების, სახსრების, შინაგანი სეკრეციის  
ჭირკვლების და სხვა ორგანოების) მხრივ. სახელდობრ, გულის  
კუნთის ცალკეული ბოჭკოები თანდათან ვიწროვდება და მოკლ-  
დება, ბირთვთა რიცხვი მატულობს, კუნთის ბოჭკოებში ვითარდება  
დეგენერაციის პროცესი და მათი შეცვლა შემაერთებელი ქსოვი-  
ლით; უჯრედთა პროტოპლაზმში ლაგდება ლიპოიდები და პიგმენ-  
ტები; პერიკარდიუმი მკვრივდება. უფრო გვიან — კოლაგენური ბოჭ-  
კოები ტლანქიდება, სქელდება, ჰომოგენიზაციასა და ჰიალინოზს გა-  
ნიცდის. იგივე ცვლილებები ვითარდება გულის ელასტიკურ ქსო-  
ვილში; ვითარდება კარდიოსკლეროზი, კორონარულ სისხლძარღვთა  
და აორტის ათეროსკლეროზი. თანდათან ქვეითდება გულის კუნთის  
შეკუმშვის უნარი. და უარესდება გულ-სისხლძარღვთა სისტემის  
აღაპტაცია ფიზიკური (სტანდარტული) დატვირთვის მიმართ.

ე ლ ე ქ ტ რ ო კ ა რ დ ი თ გ რ ა ფ ი უ ლ ა დ გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი ა პ ა რ-  
კ უ ჭ ი ვ ა ნ ი ე ქ ს ტ რ ა ს ი ს ტ რ ლ ი ა, გ უ ლ ი ს რ ი ტ მ ი ს შ ე ც ვ ლ ა, კ უ ნ თ ი ს დ ი-  
ფ უ ზ უ რ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი; P — R ი ნ ტ ე რ ვ ა ლ ი ს ზ ო მ ი ე რ ი გ ა დ ი დ ე ბ ა,  
P კ ბ ი ლ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა, QRS ღ ე რ ძ ი ს მ ა რ ც ხ ნ ი ვ გ ა დ ა ხ რ ა, QRS ა მ-  
პ ლ ი ტ უ დ ი ს დ ა T კ ბ ი ლ ი ს შ ე მ ო კ ლ ე ბ ა, T კ ბ ი ლ ი ს გ ა ბ რ ტ ყ ე ლ ე ბ ა, მ ა რ-  
ც ხ ე ნ ა გ რ ა მ ა. მ ც ი რ დ ე ბ ა გ უ ლ ი ს ს ი ს ტ რ ლ უ რ ი დ ა წ უ თ მ ო ც უ ლ ი მ ა.

ს ა ს უ ნ თ ქ ი ო რ გ ა ნ თ ე ბ ი ს მ ხ რ ი ვ ა დ გ ი ლ ი ა ქ ვ ს ს უ ნ თ ქ ვ ი ს  
მ ც ი რ ე გ ა ხ შ ი რ ე ბ ა ს, ს უ ნ თ ქ ვ ი ს შ ე კ ა ვ ე ბ ა ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი თ ბ ი ს შ ე მ ო კ ლ ე-  
ბ ა ს, გ უ ლ მ კ ე რ დ ი ს ყ ა ფ ა ზ ი ს გ ა ქ ა ნ ე ბ ი ს (ე ქ ს კ უ რ ს ი ი ს), ფ ი ლ ტ ვ ე ბ ი ს ს ა-  
ს ი ც ი ც ხ ლ ი ტ ე ვ ა დ ო ბ ი ს ა დ ა მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი ვ ე ნ ტ ი ლ ა ც ი ი ს თ ვ ა ლ ს ა ჩ ი-  
ნ თ შ ე მ ც ი რ ე ბ ა ს, ს უ ნ თ ქ ვ ა შ ი მ თ ნ ა წ ი ლ ე ა ნ ა ტ რ მ ი უ რ წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ თ ა  
ძ ა ლ - ლ ო ნ ი ს დ ა ქ ვ ე ი თ ე ბ ა ს, ე მ ფ ი ზ ე მ ა ს, ქ რ ო ნ ი კ უ ლ ბ რ ი ნ ქ ი ტ ს, უ ფ რ ი მ  
გ ვ ი ა ნ — ბ რ ი ნ ქ რ ე ქ ტ ა ზ ი ა ს.

ფ ი ზ ი კ უ რ ი დ ა ტ ვ ი რ თ ვ ი ს ც დ ი ს დ რ ი ს ა ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ა შ ე ს უ ნ თ ქ უ ლ ი  
პ ა ე რ ი დ ა ნ უ ა ნ გ ბ ა დ ი ს მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა, ქ ს ი ვ ი ლ თ ა დ ა უ ა ნ გ ვ ი-  
თ ი დ ა ა ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს პ რ ი ც ე ს ე ბ ი ს ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ი ბ ი ს ა დ ა, ა გ რ ე თ ვ ე, ო რ გ ა-  
ნ ი ზ მ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ი ე ნ ე რ გ ე ტ ი უ ლ ი რ ე ს უ რ ს ე ბ ი ს მ თ ბ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს უ ნ ა რ ი ს  
დ ა ქ ვ ე ი თ ე ბ ა.

ს ა ჭ მ ლ ი ს მ თ მ ნ ე ლ ე ბ ე ლ ი ა პ ა რ ა ტ ი ს მ ხ რ ი ვ ა ლ ი ნ ი შ-  
ნ ე ბ ა შ ე კ რ უ ლ ი ბ ა, პ ი პ ო - ა ნ ა ქ ლ ი რ პ ი დ რ ი ა, პ ი პ ო ქ ი ლ ი ა, ნ ა წ ლ ა ვ ი ს  
ფ ლ ი რ ა შ ი — ლ პ ი ბ ი თ ი პ რ ი ც ე ს ე ბ ი ს ს ი ჭ ა რ ბ ე, პ რ ი ც ი ტ ა მ ი ნ ე ბ ი ს ვ ი ტ ა-  
მ ი ნ ე ბ ა დ გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს შ ე ფ ე რ ხ ე ბ ა, ნ ა ხ შ ი რ წ ყ უ ლ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ ო რ გ ა ნ ი ზ-  
მ ი ს ტ რ ლ ე რ ა ნ ტ ი ბ ი ს დ ა ქ ვ ე ი თ ე ბ ა დ ა ს ხ ვ.

პ ე რ ი ფ ე რ ი უ ლ ს ი ს ხ ლ შ ი გ ა მ ი ხ ა ტ უ ლ ი ა ე რ ი თ რ ი ც ი ტ ე-  
ბ ი ს, პ ე მ ი გ ლ ი ბ ი ნ ი ს, თ რ ი მ ბ ი ც ი ტ ე ბ ი ს, ლ ე ი კ ი ც ი ტ ე ბ ი ს დ ა ლ ი მ ფ ი მ-  
ც ი ტ ე ბ ი ს რ ა მ დ ე ნ ი ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა, ე დ რ - ი ს ა ჩ ქ ა რ ე ბ ა.

ლ ე ი კ ი ც ი ტ უ რ ფ ი რ მ უ ლ ა შ ი ჭ ა რ ბ ი ს ნ ე ი ტ რ ი ფ ი ლ ე ბ ი. გ ა რ დ ა  
ა მ ი ს ა, ა ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ა ლ ე ი კ ი ც ი ტ თ ა ფ ა გ ი ც ი ტ უ რ ი ა ქ ტ ი უ რ ი ბ ი ს, ს ი ს ხ ლ ი ს  
შ რ ა ტ შ ი ო ფ ს თ ნ ი ნ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ი ბ ი ს დ ა კ ა ნ ც ე რ ი ლ ი ზ ი ს უ ნ ა რ ი ს  
(ს ი მ ს ი ვ ნ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ხ ე ლ შ ე მ შ ლ ე ლ ი ფ ა ქ ტ ი რ ე ბ ი ს) შ ე მ ც ი რ ე ბ ა;  
ს ი ს ხ ლ ი ს შ რ ა ტ ი ს წ ე ბ ი ვ ნ ე ბ ი ს გ ა ზ რ დ ა, K რ ა მ დ ე ნ ი ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა,  
Ca მ ო მ ა ტ ე ბ ა ხ რ ტ ი ლ ი ვ ა ნ წ ა რ მ ი ხ ა ქ მ ნ ე ბ შ ი, ს ი ს ხ ლ ძ ა რ ლ ვ თ ა კ ე დ ე ლ-  
შ ი, თ ა ვ ი ს ტ ვ ი ნ შ ი; Ca მ ც ი რ დ ე ბ ა ლ ვ ი ძ ლ შ ი, თ ი რ კ მ ე ლ შ ი, გ უ ლ ი ს ა დ ა  
ჩ ი მ ჩ ი ხ ი ს კ უ ნ თ ე ბ შ ი; გ ა მ ი ხ ა ტ უ ლ ი ა წ ყ ლ ი ს რ ა მ დ ე ნ ი ბ ი ს დ ა კ უ ლ ე ბ ა  
კ უ ნ თ შ ი, თ ა ვ ი ს ტ ვ ი ნ ი ს ნ ი ვ თ ი ე რ ე ბ ა შ ი, ლ ვ ი ძ ლ შ ი. ა დ გ ი ლ ი ა ქ ვ ს  
ქ ს ი ვ ი ლ თ ა კ ო ლ ი დ უ რ ი პ ი დ რ ი ფ ი ლ ი ბ ი ს ა დ ა წ ყ ლ ი ს შ ე კ ა ვ ე ბ ი ს  
უ ნ ა რ ი ს დ ა ქ ვ ე ი თ ე ბ ა ს. ი ც ვ ლ ე ბ ა უ ჯ რ ე დ თ ა პ რ ი ტ რ ი პ ლ ა ზ მ ი ს Ph - ა ც ი-

დოზისაკენ; დაქვეითებას განიცდის ქსოვილთა რეგენერაციის უნარი; მატულობს სისხლში ქოლესტერინისა და პროთრომბინის რაოდენობა.

სიცოცხლის გახანგრძლივების დამხმარე საშუალებანი. სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს ნერვული სისტემის სრულფასოვანი (გაწონასწორებული) ფუნქციური მდგომარეობა, რომ ადამიანმა გაუძლოს და აღვილად გადაიტანოს ცხოვრების (გარემოს) უარყოფითად მოქმედ აგენტთა გავლენა. გარდა ამისა, სიცოცხლის გახანგრძლივებას ხელს უწყობს ადამიანის სასიამოვნო, შემოქმედებითი შრომა, ცხოვრების ჰიგიენური რეზიმი (ზომიერი ცხოვრება, რაციონალური კვება, აქტიური დასვენება), ინფექციისა და ინტოქსიკაციის საწინააღმდეგოდ პროფილაქტიკურ ლონისძიებათა გატარება (ი. მეჩნივოვი), მემკვიდრეობითი ფაქტორები, ქორწინება (ი. თარხნიშვილი), ფიზიკური ვარჯიშებით სისტემატური მეცანდინეობა.

ამასთან მოძრაობა (ფიზიკური ვარჯიშობის გავლენა), როგორც პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება, უფრო კარგად მოქმედებს ავაღმყოფის ორგანიზმზე, ვიდრე წამალი და, ზოგჯერ განკურნავს და აღადგენს შრომის უნარს იქ, სადაც მედიკამენტებით მკურნალობა შედეგს არ იძლევა (სარჯისოვ-სერაზინი).

ნააღრევი მოხუცებულობის თავიდან აცილებისა და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ბრძოლა უნდა წარმოებდეს სისტემატურად დაბადებიდან ორგანიზმის სიცოცხლის დასრულებამდე. მხოლოდ ასეთს პირობებში იქნება ადამიანის ახალგაზრდობა — ხანგრძლივი, მოწიფულობის ასაკი — ქმედითი, სრულფასოვანი ჯანმრთელობით, კარგი ადაპტაციით და შრომისუნარიანი, მოხუცებულობა — აქტიური.

სსრ კავშირში არსებული სახელმწიფოებრივი წყობა, მასი ეკონომიკა და ის უამრავი ნაირმხრივი ღონისძიებანი (ორსულ ჭალთა კონსულტაციების, საბავშვო ბაგების და ბალების, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა და სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-სამედიცინო ინსტიტუტების ფართო ქსელი, ღროული კვალიფიციური ლფასო მკურნალობის ჩატარების შესაძლებლობა, ინფექციურ დაავადებებთან და საწარმოო შხამებთან გეგმიანი ბრძოლა, სანატორიულ-კურორტული მკურნალობა, დასასვენებელი სახლებით სარგებლობა, საწარმო-დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა, ფიზიკურ კულტურასა და

სპორტში მოსახლეობის ფართო მასის აქტიური ჩაბმა, უმუშევრობის მოსპობა და სხვა ღონისძიებანი), რომელთაც საბჭოთა სახელმწიფო გეგმიანად ატარებს, შეუღლებული კონკრეტული პიროვნების შრომისა და კვების რაციონალურ რეჟიმთან, აქტიურ დასვენებასთან, უზრუნველყოფს იდამიანის ნააღრევი მოხუცებულობისა და ნააღრევი სიკვდილის თავიდან აცილებას, ხელს უწყობს ჯანმრთელობის ხანგრძლივად შენარჩუნებას, ანელებს ასაკობრივი (ბუნებრივი) და პათოლოგიური პროცესების განვითარებას.

იმისათვის, რომ ნააღრევი მოხუცებულობის დაწყებითი სტადიის (თავის ტვინის ან სხვა ორგანოების ათეროსკლეროზის პირველი სტადიის) კლინიკური მოვლენები გაქრეს ანდა, თუ ეს შეუძლებელია, თვალსაჩინოდ შემცირდეს, საჭიროა ადამიანის ფიზიკური შრომა ან სხვა შემოქმედებითი დასაქმება იქნეს ნორმირებული და სწორად შეხამებული აქტიურ დასვენებასთან, ძილისა და კვების რაციონალურ რეჟიმთან, ბუნებრივი ფაქტორებით ორგანიზმის გამოწროთობასა და ფიზიკურ წვრთნასთან. სახელდობრ, 50 წელს გადაცილებულმა ყოველმა ადამიანმა თავიდან უნდა აიცილოს უონებრივი ანდა ფიზიკური ხასიათის გადაჭარბებული, მომქანცავი შრომა, დაიცვას მუშაობის სწორი რეჟიმი და სამუშაო ადგილის ფარგი ორგანიზაცია, თავიდან აიცილოს მავნე ფაქტორები, მუშაობის პროცესში ფართოდ გამოიყენოს საწარმოო ტანვარჯიშის, „ფიზკულტპაუზის“ ანდა „ფიზკულტურის“ ფიზიკური ვარჯიშები, სრულიად მიატოვოს ალკოჰოლის ხმარება და თამბაქოს წევა, თავიდან აიცილოს ნერვული დაძაბულობა (აღელვება, უარყოფითი განცდა), გადავიდეს უპირატესად რძე-მცენარეული პროდუქტების ხმარებაზე. უკანასკნელ შემთხვევაში საკვები ულუფა არ უნდა აღმატებოდეს მოცემული ასაკისა და ენერგიის ხარჯვისათვის საჭირო მინიმუმს (ნორმასთან შედარებით 10—15%)-ით ნაკლები უნდა იყოს. — ო. ქ. მოლჩანოვი). ხშირ შემთხვევაში დასაძინებლად საჭიროა დაწვეს უვახშმოდ ანდა არ მიიღოს ხორცი, ყავა. დღე-ღამის რაციონში უნდა მაქსიმალურად იქნეს შეზღუდული ცხოველური ცხიმის (ქოლესტერინით მდიდარი საკვები პროდუქტების), ხორცის ექსტრაქტული ნივთიერებების, მარილიანი საჭმელისა და მისაღები სითხის საერთო რაოდენობა. სახელდობრ, კვებიდან ამოილოს ან ძლიერ შეზღუდოს კვერცხის, ერბოს, კარაქის, ღორის ქონის, მაიონეზის, ტვინის, ძეხვეულის, ნაღების, ხიზილალის, ღვიძლისა და

ყავის ხმარება. მათ მაგივრად კი უნდა მიიღოს მჭერი, მჭელე თევზი, მოხდილი რძე, კვერცხის ცილა, კეფირი, ცხმით ლარიბი ყველი, მცენარეული (ზეთისხილის, მზესუმზირას, არაქისის) ზეთი, უმი ბოსტნეული (სტაფილო, მწვანილი, სატაცური, ისპანახი, თალგამი — შეკრულობის ღროს), ე. ი. გავადიდოთ დღე-ღამის რაციონში ცილის ხვედრითი წონა (1 კგ წონაზე უნდა მოდიოდეს 1,4—1,5 გრამი ცილა) და ბევრი ხილი.

ხანში შესულმა ადამიანმა ყოველდღიურად უნდა იხმაროს სხეულის ყოველ ერთ კილოგრამ წონაზე 30 დიდ კალორიაზე უფრო ნაკლები ენერგიის შემცველი საკვები; დღე-ღამის ულუფა უნდა შეიცავდეს: 70—90 გრამ ცილას, 200—300 გრამ ნახშირ-შულებს და 50—60 გრამ მცენარეულ ცხიმს.

კვება უნდა მოხდეს დღეში 3—4-ჯერ. ზუსტად დადგენილი დროის შუალედში და საკვების მიღება ისე დამთავრდეს, რომ ოდნავი შიმშილის გრძნობას კიდევ განიცდიდეს. გარდა ამისა, უნდა მოწესრიგდეს კუჭ-ნაწლავის მოქმედება (აღვადგინოთ ნაწლავში ნორმალური ფლორა), უზრუნველყოფილ იქნეს მშვიდი, ღრმა ძილი 8 საათის განმავლობაში, ყურადღება მიექცეს თირკმლების ფუნქციასა, და ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში.

ნააღრევ შოხუცებასთან ბრძოლის დამხმარე ბიოლოგიური და სამკურნალწამლო საშუალებები ბიდან შეიძლება პერიოდულად დადებითი შედეგით იქნეს გამოყენებული იოდი ან იოდ-ჰიპერსოლი, გლიცეროფოსფატები, ლეციტინი, ფიტინი, ბრომი, ამიტალ-ნატრიუმი, ქლორალ-ჰიდრატი, მედინალი, განგლიობლოკატორები, ასკორბინის მჟავას (თუ სისხლის შედედების უნარი არ არის მოშატებული), რიბოფლავინის, ვიტამინის B<sub>6</sub>, B<sub>12</sub>, E, ქოლინეტული, ნიკოტინის ანდა ფოლიუმის მჟავას კომბინაცია (ერთი თვის განმავლობაში), ვიტამინი B<sub>1</sub>-ის 5%-იანი ხსნარის ინექციები; გულის მოქმედების მომწესრიგებელი და სპაზმოლიტური საშუალებანი — დიურეტინი, ეფფილინი, ლიპოკაანი, მეთილ-ვალერიანის სიმავე, ტრუნეჩეკის შრატი, ადენოზინსამფოსფორმჟავა ნატრიუმის 1%-იანი ხსნარის ინექციები, პაპავერინი, კორდიამინი, სტროფან-ტინი, ნოვოკაინამიდი, მეთიონინი და სხვა პრეპარატები.

აღნიშნულ საშუალებათა (ვიტამინი B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>12</sub>, E, C, P, ფოლისა და ნიკოტინის მჟავები, ქოლინი, ლინეტოლი, იოდი და

სხვ.) სისტემატური გამოყენება აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარებას.

საჭიროების დროს გამოიყენება: არტერიული ჰიპერტონიის დროს — სერპაზილი, ტიფენი, ჰიპოთაზიდი, გოგირდმუავა მაგნეზიუმის 25%-იანი ხსნარის ანდა 1%-ნი ღიბაზოლის ინექციები, რეზერპინი, აპრესოლინი, ადელფანი, ბელასბონი, ნეპრესინი, არფონდი, ჰექსამეტონი, პენტამინი, დევინკანი და ამ დანიშნულების სხვა პრეპარატები; პროტომბინის რაოდენობის გადიდებისას — ვიტამინი  $B_2$ , ბელენტანი, ნეოდიკუმარინი.

ბიოლოგიურად აქტიურად მოქმედი ნივთიერებებიდან ნაადრევად მოხუცების საწინააღმდეგოდ გამოიყენება ა. ბოგომოლეცის მიერ მოწოდებული ანტირეტიკულური ციტოტოქსიკური შრატი, იზოგენური დაკონსერვებული. სისხლის პერიოდული გადასხმა და უანგბადით გამდიდრებული ჰაერის შესუნთქვა (ოქსიგენოთერაპია) უანგბადიან კარვებში.

აღნიშნული ბიოლოგიური საშუალებანი იწვევს ორგანიზმის რეაქტივობის უნარის, ნივთიერებათა ცვლის პროცესების და იღვგენა-განახლების უნარის ნორმალიზებას, ამცირებს ასაკობრივი ხასიათის პათოლოგიურ ცვლილებებს.

ანტირეტიკულური ციტოტოქსიკური შრატი კეთდება კანქვეშ მცირე დოზებში ( $1 : 10$  განზავებით) ერთ შეუვანაზე  $0,5 - 0,3$  მლ რაოდენობით, სულ 3-ჯერ,  $4 - 4$  დღის ინტერვალით. იზოგენური დაკონსერვებული სისხლის გადასხმა ხდება 2-ჯერ,  $4 - 4$  დღის ინტერვალით,  $25 - 100$  მლ რაოდენობით. სისხლის გადასხმის კურსსა და ანტირეტიკულური ციტოტოქსიკური შრატის ინექციების კურსს შორის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს  $2 - 3$  კვირას.

უანგბადით გამდიდრებული ჰაერის შესუნთქვა ავადმყოფის მიერ წარმოებს სპეციალურად ამისათვის მოწყობილ კარვებში, რომელთა ჰაერში უანგბადის კონცენტრაცია  $40\%$ -ს აღწევს. ამ მიზნით კარავში შეჰყავთ 1 წუთში 10 ლ უანგბადი. მკურნალობის სეანსის ხანგრძლიობა გრძელდება ერთ საათს. სულ კურსზე ტარდება 10 სეანსი.

პორმონოთერაპიული საშუალებებიდან კარგად მოქმედებს ფარისებრი ჭირქვლის პრეპარატი — თირეოდინი, მეთილტესტოსტერონი, ტესტოსტერონპროპიონატი, ანდროსტანოლონი, სტილბესტროლი,

ეთინილესტრადიოლი, ჰეპისტეროლი, ფოლიკულინი, პანკრეატინი, ნატურალური კუჭის წვენი, პეფსინი, ქოლენზიმი და სხვ.

ამ ასაკში დადებით ეფექტს იძლევა ინდიფერენტული (34—36° C) ტემპერატურის წყლის აბაზანები კვირაში 3-ჯერ 20—20 წუთის ხანგრძლივობით, 45 დღის განმავლობაში. გარდა ამისა, თუ ხანში შესული ადამიანი მოხუცებულობის დაწყებიდანვე შეუდგება და სისტემატურად ჩატარებს დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობას, თვალსაჩინოდ გაუმჯობესდება მისი ორგანიზმის სხვადასხვა ქსოვილთა, ორგანოთა და სისტემათა ფუნქციური მდგომარეობა, შეენახება შრომის უნარი.

ნაადრევი მოხუცებულობის საწინააღმდეგოდ შრომის, დასვენების და კვების რაციონალური რეჟიმის დაცვასთან ერთად ფიზიკური კულტურისა და სპორტის საშუალებებიდან უნდა იქნეს გამოყენებული საშუალო და ხნიერი ასაკისათვის განკუთვნილი ზოგადი ფიზიკური მომზადების ვარჯიშები — ჰიგიენური ტანგარჯიში, მძლეოსნობის, მოძრავი და სპორტული თამაშობის. (ჩოგბურთის, კალათბურთის) ელემენტები, მშვიდი ცურვა, ნიჩბოსნობა, თხილამურებით მოკლე მანძილზე გასეირნება, ველოსპორტი, ნაღირობა, ტურიზმი, თევზის ჭერა, საწარმოო ტანგარჯიში, ინდივიუდუალური მეცადინეობა ფიზიკური ვარჯიშებით, „ფიზიკულტპაუზა“, ბუნების ფაქტორებით (ჰაერით, წყლით) ორგანიზმის გამოწრობა.

ტანგარჯიშული ვარჯიშები ამ ასაკში უნდა ჩატარდეს მაქსიმალური ამპლიტუდით, გამოყენებულ იქნეს მუცლის პრესისა და სუნთქვითი (გახანგრძლივებული ამოსუნთქვით) ვარჯიშები, სხვადასხვა ტემპისა და ხანგრძლივობის სიარული (ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით) ვაჟეზე ანდა შემაღლებაზე და სხვ.

სასარგებლოა დილითა და საღამოთი (ძილის წინ 0,5—1,0 საათით აღრე) სუფთა ჰაერზე სიარული 15—30 წუთის განმავლობაში, ან ბალში არადამლელი ფიზიკური შრომა. სიარული დაწყებულ უნდა იქნეს მცირე დისტანციით (1—2 კმ), წუთში 80—100 ნაბიჯის გავლით და ყოველი ერთკილომეტრიანი მონაკვეთის დამთავრებისას 5-წუთიანი შესვენებით. დროთა სვლაში გასასვლელი მანძილი თანდათან იზრდება და, გარკვეული დროის განმავლობაში ტრენირების შემდეგ იგი შეიძლება ავიყვანოთ 10 კმ-მდე. შესვენების ხანგრძლივობა კი ამ დროს უნდა შემცირდეს თანდათანობით.

გონებრივი შრომის აღამიანს, რომელიც ეწევა ხანგრძლივ

მჯდომიარე მდებარეობაში მუშაობას ტანის წინდახრით და კუნთთა სტატიკური დაძაბვით, ტვინის სისხლით მომარაგება, სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა რომ გაუძლიერდეს, საჭიროა ყოველი 2—3 საათის განმავლობაში შრომის შემდეგ ატარებდეს 10-წუთიან ფიზიკურ ვარჯიშობას (ფიზკულტპაუზით გათვალისწინებულ ვარჯიშებს) — ოთახში სიარულს, სუნთქვათ ვარჯიშებს, ტანის კუნთების ვარჯიშებს, ანდა, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, — 15-წუთიან გასეირნებას სუფთა ჰაერზე (არა სასურველია სიარულით გასეირნების მორიგეობა ჩქარ სიარულთან).

მეტეოროლოგიური პირობების მიმართ ორგანიზმის გამოწრობა უნდა დავიწყოთ ზაფხულზე ყოველდღე  $20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის მქონე ჰაერის აბაზანებით 10—15 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი პროცედურის დროის ხანგრძლიობა თანდათან უნდა გავზარდოთ 1,5-2 საათამდე. პროცედურების მიღება ამ წესით უნდა ჩატარდეს ყოველდღე მთელი წლის განმავლობაში.

კარგია თუ ამავე მიზნით გამოვიყენებთ ინდიფერენტული ტემპერატურის ( $34$  —  $36^{\circ}\text{C}$ ) მქონე წყლის პროცედურებს, დილით ცივი (ოთახის ტემპერატურის) წყლით ტანის დაზელას, შხაპის გადავლებას და სხვ. წყლის ტემპერატურა თანდათან უნდა შემცირდეს. დიდი ინტენსივობის ფიზიკური დატვირთვის შემდეგ სხეულის გაცვება უკუნაჩვენებია.

კლიმატური ფაქტორებიდან დადებითად მოქმედობს მთიანი აღგილისა და ზღვის სიახლოვის შეხამება. ამ პირობებში ცხოვრება ხელს უწყობს სიცოცხლის გახანგრძლივებას.

საშუალო და უფრო ხნიერი ( $50$ — $60$  წლის) ასაკის პირთათვის ფიზიკურ კულტურაში სპეციალურად ორგანიზებული მეცადინეობისათვის დაჯგუფება, ფიზიკური კულტურის საშუალებათა შერჩევა და ფიზიკური დატვირთვის ნორმირება, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს სამკურნალო ფიზკულტურის ექიმ-სპეციალისტთან კონსულტაცით — პიროვნების ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური განვითარების, ფიზიკური მომზადების, ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების, სამეცადინო აღგილისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

ფიზიკურ ვარჯიშობაში შეცადინეობა (იხ. ცხრილი 1 და 2) უნდა ჩატარდეს საწარმოო შრომისაგან დასვენების შემდეგ, გამწვანებულ აღგილას, სუფთა ჰაერზე ანდა დახურულ შენობაში, სათანადო ჰიგი-

ენური პირობების დაცვით, არა უმეტეს 1 საათისა, კვირაში 2—3-  
ჯერ, მსუბუქ (სეზონის შესაბამ) ტანისამოსში.

რადგან საშუალო და ხნიერი ასაკისათვის გამოყენებულ ფიზი-  
კურ წვრთნას არას პორტს მენებში აქვს პროფილიჭრიკური  
და, საჭიროების შემთხვევაში, სამკურნალო (გამაჯანსაღებელი) და-  
ნიშნულება, ამიტომ იგი უნდა შეტანილ იქნეს პიროვნების დღის რე-  
ჟიმში. ამ ასაკში უნდა ვერიდოთ ტანისა და თავის მკვეთრ წინ დახ-  
რას, სტატიკურ ვარჯიშებს, სუნთქვის შეკავებას, ორგანიზმის ძლიერ  
შერჩევას. ამიტომ ფიზიკური ვარჯიშობით მეცადინეობის ჩატარები-  
სას უნდა შეზღუდულ იქნეს სირბილი, ხტომა, ძალისმიერი ვარჯიშე-  
ბი. ვარჯიშის ჩატარების ტემპი უნდა იყოს ზომიერი ანდა ნელი.

მეცადინეობა ისე უნდა იყოს აგებული, რომ იგი ითვალისწინებ-  
დეს სხვადასხვა ჯგუფის კუნთთა მორიგეობით მონაწილეობას, შეი-  
ცავდეს სწორი სუნთქვის, საკოორდინაციო და ტანის კუნთების მა-  
კორეგირებელ ვარჯიშებს, სიარულს, ადვილოდ შესასრულებელ თა-  
ვისუფალ, იარაღით ანდა იარაღზე ვარჯიშებს მსხვილ სახსრებში —  
სრული ამპლიტუდის მოძრაობებით. ფიზიკური დატვირთვის უმე-  
ტესი ნაწილი უნდა მოდიოდეს მეცადინეობის (პროცედურის) მო-  
სამზადებელ და ძირითად ნაწილებზე, მცირე დატვირთვა-შესავალ  
და დამამთავრებელ ნაწილებში. მოძრაობა შეფარდებული უნდა  
იყოს სუნთქვის აქტთან.

თუ პიროვნება ს პორტს მენია, მაშინ 40—50 წლის ასაკის  
მიღწევის შემდეგ, თუ იგი ჯანსაღია, სჭობს აწარმოოს (არ შესწყვი-  
ტოს) მეცადინეობა (ექიმის სისტემატური მეთვალყურეობით) იმა-  
ვე სახეობის სპორტში, რომელშიც ის მთელი ახალგაზრდობის პე-  
რიოდში ატარებდა წვრთნას, მაგრამ შემცირებული (ასაკთან შე-  
ფარდებული) ფიზიკური დატვირთვით და ვარჯიშის დასრულების  
შემდეგ, დასვენების პერიოდის განაწერძლივებით.

ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეობების სწორი შერჩევა, ფიზიკური  
დატვირთვის რაციონალური ნორმირება, ტრენირების დახვეწილი  
მეთოდიკა და ხნიერი ასაკის პირებთან სპორტული მუშაობის ჩატა-  
რების სწორი ორგანიზაცია, სისტემატური საექიმო-პედაგოგიური  
მეთვალყურეობის პირობებში იწვევს ხნიერი ადამიანის ორგანიზმ-  
ში დაღებით ძვრებს. სახელმძღვანელო, ფიზიკური წვრთნა ხანგრძლივი

დროის, განმავლობაში ორგანიზმზე ახდენს ტროფიკულ, მატონიზი-  
რებელ და მასტიმულირებელ გავლენას, ინახავს (თუ ტრენირება  
პროფილაქტიკური მიზნითაა წარმოებული) ანუ აღადგენს (თუ იგი  
სამკურნალო მიზნითაა გამოყენებული) პიროვნების შრომის უნარს;  
აუმჯობესებს სხეულის ყველა ნაწილის სისხლით მომარაგებას (ტ.  
პეტრინი); იწვევს კიდურებისა და გულის კუნთების განვითარებას;  
ორგანიზმის გამძლეობის გადიდებას ჰიპოქსემიის, გაღახურების და  
გაცივების მიმართ, სისხლის იმუნობიოლოგიური თვისებების გაძ-  
ლიერებას, ორგანიზმის წინააღმდეგობის გადიდებას ტუბერკულო-  
ზური ინფექციით დაავაზების მიმართ, ავთვისებიანი სიმსივნის გან-  
ვითარების შეფერხებას.

ასევე ფიზიკური წვრთნის გავლენით მცირდება გულსისხლძარ-  
ღვთა აპარატის დაავადების სიხშირე, იზრდება კანის ბიოლოგიური  
დაცვის უნარი, მოძრაობის ინტენსივობა და ადამიანის შრომის ნა-  
ყოფიერება; მოხსნას განიცდის ფსიქოგენური შეკავება. იგი ავითა-  
რებს დადებით ემოციებს, აუმჯობესებს უანგვა-აღდგენით პროცე-  
სებს; ადიდებს ცენტრალური ნერვული სისტემის რეაქტივობისა და  
ლაბილობის უნარს; აჩქარებს ქსოვილთა რეგენერაციის პროცესს;  
უმატებს კუნთთა ძალლონებს; დადებით გავლენას ახდენს ნივთიერე-  
ბათა ცვლის პროცესებზე (ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხ-  
ლის პლაზმაში); ადიდებს ორგანიზმის ფერმენტული სისტემის აქ-  
ტიურობას; ზრდის ქსოვილებში წყლის რაოდენობას; ამცირებს  
სხეულის ჭარბ წონას (სიმსუქნეს); ნორმალიზებას განიცდის შრატის,  
ცილისა და ლიპოპროტეინის რაოდენობა; მცირდება სისხლძარღვთა  
კეჟლებში სკლეროზული პროცესი; უმჯობესდება ცენტრალური  
ნერვული სისტემის რეფლექსური მოქმედება; იზრდება ორგანიზ-  
მის, კერძოდ, გულის კუნთის აღაპტაციის უნარი ფიზიკური დატვირ-  
თვის მიმართ, მატულობს ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, სუნ-  
თქვის სიღრმე და არტერიული სისხლის უანგბადით მაძლრობის უნა-  
რი, სახსრებისა და ხერხემლის მოძრაობის ამპლიტუდა; მოძრაობა  
ხდება კოორდინირებული, უმჯობესდება თვითგრძნობა; ძლიერდება  
ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი და აღაპტაციის დიაპაზონი გა-

რემოს ნაირსახოვანი მავნე აგენტებისა და პირობების მიმართ; სწო-  
რდება კუჭ-ნაწლავის მოქმედება და სხვ.

ამასთან, პროფილაქტიკური და სამკურნალო ფაქტორებით კომპ-  
ლექსური ზემოქმედების პირობებში პროფესიული შრომის დროს  
გამოყენებული მოტორული ჩვევები, მოვალეობის გრძნობა, ინიცი-  
ატივა, შემოქმედება, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების  
პარმონიული შერწყმა, აქტიური ცხოვრების რეჟიმი, თავის მხრივ,  
წარმოადგენენ იმ სტამულატორებს, რომლებიც ფსიქიკის გააქტი-  
ვების გზით ინახავენ ანდა აღიდებენ პიროვნების შრომის უნარს და  
ეწინააღმდეგებიან სომატურ ინვოლუციას, ხელს უწყობენ პათოლო-  
გიური პროცესის (თუ ასეთს ადგილი ჰქონდა) უკუგანვითარებას, ან-  
და მის სტაბილიზაციას მრავალი (10—15) წლის განმავლობაში.

ნააღრევი მოხუცებულობის დასაწყის სტადიაში ჯანმრთელობის  
მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოებს ორგანოს დაზიანებული ნა-  
წილის ფუნქციის ნორმალური ქსოვილების მიერ კომპენსირებისა  
და კოლატერალური სისხლის მიმოქცევის განვითარების მეოხებით.

აღამიანის ორგანიზმზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის და-  
დებით გავლენას აღასტურებს ის ფაქტი, რომ მრავალ ყოფილ  
სპორტსმენს, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდ-  
ნენ ფიზიკურ ვარჯიშობას, მოხუცებულობის ასაკში კარგ მდგომა-  
რეობაში აღმოაჩნდათ სამოძრაო სისტემა, სუნთქვის ორგანოები,  
გულ-სისხლძარღვთა აპარატი, ნერვული სისტემა და სხვა ორგანო-  
ები, შენარჩუნებული ჰქონდათ ძალა, გამძლეობა, ნათელი გონება  
და კარგი მეხსიერება. ამთ შორის იშვიათი იყო სიკვდილი გულ-  
სისხლძარღვთა დაავადებებისაგან და ხანდაზმულობის ასაკთან და-  
კავშირებული ცვლილებები სუსტად ჰქონდათ გამოსახული.

ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი აღამიანები — ლ. ნ. ტოლსტოი  
და ი. პ. პავლოვი — გონებრივ შრომის კანონზომიერად უთავ-  
სებდნენ ფიზიკურ შრომას, ფიზკულტურასა და სპორტს, ამიტომ  
მათ დიდხანს (80 წელზე მეტი) იცოცხლეს აქტიური, შემოქმედები-  
თი ცხოვრებით.

ვოგტის დკვირვებით იმ მოხუცებს, რომლებიც სიკვდილამდე  
ფიზიკურ შრომას ეწეოდნენ, ტვინის ქსოვილის ატროფია სუსტად

ჰქონდათ გამოსახული და, პირიქით, დიდი ტვინის ქერქის ატროფია  
მეტი სიხშირითა და სიძლიერით იყო გამოხატული გონებრივად მო-  
მუშავე (უპირატესად — მჯდომარე პირობებში დასაქმებულ) პირთა  
შორის.

ხანგრძლივად მაცხოვრებელი აღამიანი მაღალ სიმედგრეს იჩენს  
თმის გაჭალარავებისაგან, ინახავს კბილებსა და კარგ მხედველობას.

ფიზიკური კულტურა, როგორც გამაჯანსაღებელი ფაქტორი,  
თუმცა შეიძლება იქნეს გამოყენებული ყველა ასაკში, მაგრამ იგი არ  
შეიძლება დაენიშნოს ისეთ აღამიანს, რომელიც დაავადებულია ავ-  
თვისებიანი სიმსივნით, გულის კუნთის კომპენსაციის დარღვევის  
მესამე ხარისხით, ანევრიზმით, გულის ასთმური ანდა ანგინოზური  
ხშირი შეტევებით, მწვავე (სიცხიანი) სნეულებით, ხშირი სისხლ-  
დენით.

---

## დამატება

ცხრილი 1

60—69 წლის ასაკს მიღიაულ პირთა ფიზიკური ვარჯიშობის საიმუშო ძოშვილები\* (მისამი სამედიცინო ჯგუფი, დამუშავითი, მამაკაცები).

შეცადინეობა ტარდება სატანვარჯიშო დარბაზში გაკვეთილის სახით.

შესავალი ნაწილი (გრძელდება 6 წუთი). გაკვეთილის ამ ნაწილში მწყობრში მდგომი ჯგუფის წევრები აწარმოებენ სხვადასხვა ტემპით სიარულს — ჩვეულებრივი (ან სხვადასხვა ტემპის) ნაბიჯით, ფეხის წვერებზე, ქუსლებზე, მუხლის მაღალი ზეაწევით, ხელის სხვადასხვა მდებარეობის პირობებში; სუნთქვით ვარჯიშებს ზედა კიდურებისა და ტანის მოძრაობით; ვარჯიშობას ყურადღებაზე და სხვ.

შოსამზადებელი ნაწილი (გრძელდება 13 წუთი). გაკვეთილის ამ მონაკვეთ-

ში ჯგუფის წევრები ასრულებენ მდგომარე მდგომარეობაში შემდეგ ვარჯიშებს:

1) გაჭიმვა მარცხენა ხელისა ზემოთ, მარჯვენისა კი — უკან.

შემდეგ ორივე ხელი საწყის მდგომარეობაში გადააქვთ . . . . . 3—5-ჯერ;

2) ტანის მობრუნება მარცხნივ და მარჯვნივ (მორიგეობით) . . . . . 3—4-ჯერ;

3) წინამხრის მოხრა და გაშლა . . . . . 15-ჯერ;

4) ჩაღდომა და ადგომა . . . . . 5-ჯერ;

5) ტანის გვერდზე გადახრა მარცხნივ და მარჯვნივ . . . . . 3—4-ჯერ;

6) ვარჯიში წონასწორობაზე („მერცხალა“) მორიგეობით მარჯვნა და მარცხენა ფეხზე . . . . . 2—2-ჯერ

7) ტანის წინდახრა და გამართვა . . . . . 4—5-ჯერ;

8) ვარჯიში კოორდინაციაზე ზედა კიდურებით . . . . . 3—4-ჯერ;

9) ფეხის მოხრა, გაშლა, გვერდზე განზიდვა, მოზიდვა . . . . . 3—4-ჯერ;

10) სუნთქვითი ვარჯიში ზედა კიდურებით . . . . . 5—6-ჯერ.

ძირითადი ნაწილი (გრძელდება 20 წუთს), გაკვეთილის ამ მონაკვეთში

ჯგუფის წევრები აწარმოებენ ვარჯიშობას სატანვარჯიშო ჯოხით:

1) ჯოხის ზემოთ აწევა ერთი ფეხის უკან გაწევით (წვერებზე) . . . . . 3—4-ჯერ;

2) ჯოხის უკან (ზურგისაკენ) დაჭერის პოზაში ტანის მობრუნება მარცხნივ და მარჯვნივ (მორიგეობით) . . . . . 3—4-ჯერ;

3) სუნთქვითი ვარჯიშები (ზემკლავი — ჯოხის თავის უკან გადატანით, შემდეგ ქვემკლავი და სხვ.) . . . . . 2—3-ჯერ;

4) ჯოხის უკან დაჭერის პოზაში ტანის გვერდზე გადახრა . . . . . 3—4-ჯერ;

5) ფეხის ჯერ წინშვერი ზეაწევით, შემდეგ გვერდზე გაწევა. ამ დროს ფეხის მოძრაობასთან ერთად წარმოებს ხელების (ჯოხის) ზეაწევა . . . . . 3—4-ჯერ;

\* Физическая культура для лиц пожилого возраста (методическое письмо), Киев, 1961, гл. 17—19. ვარჯიშთა კომბლექსი შედგენილია დოც. ი. ვ. მურავოვის მიერ.

- 6) ჭოხის უკან დაჭრის პოზაში წინ დახრა და გამოიტვა . . . . . 3—4-ჯერ;
- 7) საკოორდინაციო ვარჯიშები ტანსავარჯიშო სკამზე, უფოხოდ  
(ტანის წინ, უკან და გვერდზე გადახრა, მორიგეობით, აღგო-  
მა, დაჭდომა და სხვ.) 3—4-ჯერ;
- 8) სუნთქვითი (ოავისუფალი) ვარჯიშები . . . . . 3—4-ჯერ;
- დასკვნითი (დამამშვიდებელი) ნაწილი (გრძელდება 6 წუთს). გაკვეთილის  
ნაწილში მომეცადინე ჭგუფის წევრები აწარმოებენ:
- 1) სიარულს — სუნთქვითი და ქუთის მომაღუნებელი ვარჯიშების ჩატა-  
რებით 3 წუთის განმავლობაში;
- 2) სიარულს — მიმართულების შეცვლით სხვადასხვა მხარეს . . . . . 2 წუთს,
- 3) მწყობრში დგომას, ძაღისცემის დათვლას.

### ცხრილი 2

**პირველი სამედიცინო ჭგუფისათვის (50—60 წლის ასაკისათვის)**  
**ფიზიკური კულტურის გაკვეთილის ფიზიკურ ვარჯიშთა სანიმუშო**  
**კომპლექსი (ი. იაბლონოვსკი, 1963).**

მეცადინეობა სხვადასხვა სახეობის სპორტის ფიზიკური ვარჯიშებით ტარ-  
დება კვირაში 2—3-ჯერ, ხანგრძლიობა — 60—90 წუთი.


მოვარჯიშე აწარმოებს დამოუკიდებელ მეცადინეობას ჰიგიენური ტანვარ-  
ჯიშით (სამედიცინო ბურთით 2 კგ-მდე, ორბირთვით 2. კგ-მდე, გურძებით, სა-  
ტანვარჯიშო ჭოხით ანდა სხვა იარაღით. იარაღზე თავისუფალი ვარჯიშები) კვი-  
რაში 2-ჯერ; ფეხით გასეირნებას; ახლო ტურიზმს (20 კილომეტრამდე) — დასვე-  
ნების დღეს; ლაშქრობას.

მძლეოსნობიდან გამოიყენება სპორტული სიარულის ელემენტები, ზომიერი  
ტემპით სირბილი, სიგრძესა და მცირე სიმაღლეზე ხტომა, ბადროს ტყორცნა,  
ბირთვის კვრა. მშთ ასაკის შესაბამისი ნორმატივების ჩაბარებისათვის მზად-  
ყოფნა სირბილსა და ბირთვის კვრაში.

ცურვაში (ყვინთვისა და წყალში ხტომის გამოკლებით) ვარჯიში და ამ სა-  
ხეობის სპორტში მშთ ნორმის ჩაბარებისათვის მზადება; გასეირნება თხილამუ-  
რებით, ლაშქრობა თხილამურებით 15 კმ-მდე. ამ სახეობის სპორტში ნორმის  
ჩაბარებისათვის მზადება; გლუსუნებზე სრიალი, ნიჩბოსნობა; გასეირნება ველო-  
სიპედით, ფრენბურთი, ჩოგბურთი (იმათვის, ვინც წინათ მეცადინეობდა ამ სა-  
ხეობის სპორტში). მოძრავი თამაშობანი, თევზაობა, ნალირობა, ექსკურსია,  
ცხენზე ჭდომით სეირნობა, აგტოტურიზმი.

ვარდა ამისა, ბიროვნებისათვის შეიძლება შემუშავდეს ინდივიდუალური  
ფიზიკური წერტინის რეჟიმი ზოგადი ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის  
ძალამარეობის შესაბამისად.

ვაკი 10 353.



Акакий Константинович Зойдзе  
**ФИЗИЧЕСКАЯ КУЛЬТУРА И ПРОДЛЕНИЕ  
ЖИЗНИ**  
(На грузинском языке)

Издательство  
«Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5  
1965